2020 წლის ზოგიერთი აქტივობები

- 2020 წლის 16 იანვარს კოლეჯს BTEC–ის ექსპერტები ესტუმრნენ. შეხვედრაზე, მათი მხრიდან, მოხდა პრეზენტაცია საერთაშორისო პარტნიორის Pearson Education Limited, ბიზნესისა და ტექნოლოგიური განათლების საბჭოს (BTEC - Business and Technology Education Council) სტანდარტებისა და აკრედიტაციის წესის შესახებ. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, ექსპერტები კოლეჯის პროგრამებსა და ინფრასტრუქტურას გაეცვნენ. აღნიშნული შეხვედრის შესახებ ასევე დამუშავდა საინფორმაციო მასალა და განთავსდა სოციალურ ქსელში.
- 2020 წლის 20 იანვარს კოლეჯს აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები ესტუმრნენ. ვიზიტი მიზნად ისახავდა პროგრამის, „უნარები უკეთესი დასაქმებისთვის" განხორციელებას. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში სტუმრებმა დაათვალიერეს კოლეჯი და გაეცვნენ სასწავლო პროგრამებს. ვიზიტის ამსახველი ფოტომასალა და სხვა ინფორმაცია განთავსდა სოციალურ ქსელში.
- 2020 წლის 22 იანვარს კოლეჯს GIZ-ის წარმომადგენლები ესტუმრნენ. დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში, ისინი გაეცნენ კოლეჯში არსებულ გამოწვევებს, ადმინისტრაციასთან ერთად იმსჯელეს განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზებსა და სამომავლო გეგმებზე. აღნიშნულ შეხვედრის ფარგლებში მოეწყო კოლეჯის საიმიჯო პრეზენტაცია. შეხვედრის შესახებ ინფორმაცია და ფოტომასალა განთავსდა კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე.
- 2020 წლის თებერვლის თვეში დაიწყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“ შემდეგ მიმართულებებზე: „ამზომველ-ტოპოგრაფი (აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება)“, კომპიუტერული გრაფიკოსი (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება)“ და ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“. არსებული პროგრამების განსახორციელებლად, აპლიკანტები შეირჩა წარმოდგენილი საბუთებისა და გასაუბრების საფუძველზე.
- 2020 წლის 22-23 თებერვალს საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიას“ მე-11 პავილიონში გაიმართა უმაღლესი და პროფესიული განათლების მე-9 საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც მსოფლიოს 100-მდე საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობდა, მათ შორის. ფესტივალის ფარგლებში, მოეწყო საგამოფენო სივრცე, სადაც მისულმა დამთვალიერებლებმა სტუდენტების ნამუშევრების დათვალიერება და პროფესიულ პროგრამებზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეძლეს.
- 2020 წლის 7 მარტს ,ევროკავშირის მხარდაჭერით, Earsmus + პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდული ასოციაცია „დრონისა“ და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით, „თბილისი რუმს ჰოტელში“ შშმ პირთა დასაქმების ფორუმი „ამოიაცანი შესაძლებლობები“ გაიმართა, სადაც 80-მდე შშმ პირი და დამსაქმებელი ორგანიზაციები მონაწილეობდა. ფორუმზე აქტიურად ჩაერთვნენ კოლეჯის სტუდენტები და წარმომადგენლები.
- 2020 წლის 20 მარტიდან 10 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაცია, რის შესახებაც ინფორმაცია გავრცელდა კოლეჯის facebook-ის საშუალებით. მიღებასთან დაკავშირებით, ZOOM-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით ჩატარდა ტრენინგი ანკეტა-კითხვარის შევსებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციის შესახებ. ასევე, რეგისტრაცია მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში, აპლიკანტებს სატელეფონო კონსულტაცია გაეწია „ცხელი ხაზის“, სოციალური ქსელისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სპეციალურად მათთვის ამოქმედდა ელექტრონული სარეგისტრაციო პლატფორმა „ვირტუალური ტური კოლეჯში“. ასევე, გამოქვეყნდა დაწესებულების შესახებ ინფორმაციის ამსახველი ვიდეო რგოლები, ბმულები და ფოტომასალა.
- 2020 წლის 6 ივლისს ქვეყანაში არსებული პანდემიის შემდეგ განახლდა სწავლა რეალურ გარემოში. სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით ტელეკომპანია „იმედმა“ რეპორტაჟი მოამზადა კოლეჯში. ინფორმაცია განთავსებულია კოლეჯის facebook-ზე.
- 2020 წლის 17 ივლისს კოლეჯის ტერიტორიაზე ავტოსახელოსნოს მშენებლობა დაიწყო. რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდა კოლეჯის facebook-ზე.
- 2020 წლის 24 ივლისს, შექმნილი ეპიდ-ვითარებიდან გამომდინარე, რეგისტრაციის მსურველთათვის ჩატარდა „ონლაინ ღია კარის დღე” კოლეჯის facebook-LIVE-ის მეშვეობით, სადაც კოლეჯის წარმომადგენლებმა რეგისტრაციებთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების შეკითხვებს უპასუხეს. ამასთან, ონლაინ რეჟიმში გაიმართა კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული პროგრამების პრეზენტაცია.
- ახალი პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი კომპეტენციების მქონე სტუდენტების მიერ დამზადდა პოსტერები, რომელიც თვალსაჩინოს ხდის თითოეულ პროფესიას.
- 2020 წლის 2 სექტემბერს კოლეჯს სტუმრობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი. მან კოლეჯის ავტოსახელოსნოს მშენებლობის პროცესი დაათვალიერა და დაწესებულების სამოქმედო გეგმას გაეცნო.
- 12 ნოემბერს კოლეჯში გაიმართა სისხლის უანგარო დონაციის აქცია, რომელშიც დაწესებულების თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები მონაწილეობდნენ.